ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 36 (1371)

20-26 ნოემბერი, 1993 წ.

„სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირი“,

მაგრამ ვაი, რომ ის „სხვა“ ამჯერად ჩვენი ქვეყანა და მისი დამშეული ხალხია

ზუსტად მიესადაგა სათქმელს სათაურად გამოტანილი ფრაზა, და აი რატომ:

მოწმენდილ ცაზე ქუხილივით მოულოდნელად მოედო ქვეყანას მინისტრთა კაბინეტის დადგენილება მოსახლეობის ანაბრების თორმეტჯერადი ინდექსაციის შესახებ. ბოლოსდაბოლოს იზრუნა მთავრობამ საკუთარ ხალხზეო, იფიქრა ალბათ უცაბედად „აშენებულმა“ ხალხმა. ხუმრობა იქით იყოს და მის ანაბარზე რიცხული 10—15 ათასი კუპონი უცებ 120—180 ათასი ხდებოდა. თანაც ყველაფერი ეს სახელმწიფოს ხარჯზე. რა უნდა ქონდეს ჭკუათმყოფელ კაცს საწინააღმდეგო რომ არა ერთი გარემოება, თუმცა ერთი კი არა, რამდენიმე გარემოება: არავის უფიქრია განესაზღვრა, თუ რა წყაროებით დაიფარებოდა მთავრობის „გულკეთილობა“, არც საწყალ ხალხს აუხსნა ვინმემ, რომ იმ 120—180 ათასი კუპონით გამდიდრების შემდეგ დაახლოებით იმის ნახევარ კვერცხს იყიდდა, ვიდრე 10—15 ათასი კუპონით გამდიდრებამდე ყიდულობდა. მაშინ ვისთვის იყო ხელსაყრელი ანაბრების გათორმეტმაგება?

სარწმუნო წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ ანაბრების ნაშთმა კავკასიის ბირჟაზე, ვალუტის უნაღდო ანგარიშსწორებით რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისა, რამდენიმე მილიარდს მიაღწია, ეს ნაშთი კი, ახლანდელზე ბევრად მეტი, სწორედ 1993 წლის 1 აპრილისთვის ყოფილა. აკი დადგენილებით ინდექსაცია სწორედ 1993 წლის 1 აპრილს არსებულ ნაშთებს ეხება, ყოველივე ამის შემდეგ, ძნელი სათქმელია, დადგენილების ავტორს, კავკასიის კონცერნის ყოფილ პრეზიდენტს, ამჟამად კი ვიცე-პრემიერს ბატონ ა.ქადაგიშვილს, საწყალი კაცის გასაჭირი ცოტათი მაინც აწუხებდეს (სათაურშივე მოგახსენეთ: სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირიო) დადგენილების მთავარი მიზანი კავკასიის ბანკის ანაბრების გათორმეტმაგებაა და სხვა არაფერი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის „ოპერატიულობა“, ამ შემთხვევაში მთავრობამ რომ გამოიჩინა. დადგენილება ისე გამოვიდა რომ არ შეთანხმებულა არც ეროვნულ ბანკთან, არც ეკონომიკის სამინისტროსთან, არც შემნახველ ბანკთან (სწორედ ამ უკანასკნელის მეანაბრეებს უნდა შეხებოდა ინდექსაცია ძირითადად, ნორმალურ პირობებში) და თქვენ წარმოიდგინეთ, არც თავად მინისტრთა კაბინეტის შესაბამის განყოფილებასთან. ყოველივე ამის შედეგია, რომ დადგენილება მოუმზადებელი და, რაც მთავარია, ქვეყნისათვის მეტად უსარგებლო გამოდგა. სხვა მხრივ ვერ აიხსნება ის გარემოება, რომ ინდექსაცია კომერციული ბანკის ანაბრებზე რიცხულ ნაშთებსაც უნდა შეხებოდა. ძნელი დასაჯერებელია, ისე მდიდარი იყოს ჩვენი მთავრობა (ბიუჯეტიც რომ ვერ დაუმტკიცებია თერთმეტი თვის განმავლობაში) კომერციული ბანკების მეანაბრეებზე ზრუნავდეს. ამჯერად, ეტყობა, მთლად არ გაგვწირა უფალმა და ეროვნული ბანკის ახალი ხელისუფლების და სხვათა ძალისხმევით შესაძლებელი გახდა სახელმწიფო მეთაურის სპეციალური დეკრეტის გამოცემა, რითაც ბლოკირებულ იქნა ჩვენივე დამაქცევარი დადგენილება. საკითხავი მხოლოდ ეს არის: ესოდენ მაღალი რანგის ჩინოვნიკები, ბოლოსდაბოლოს, როდის დააყენებენ ქვეყნის ინტერესებს ამა თუ იმ ბირჟის ინტერესებზე მაღლა?!

მ. ღვინიაშვილი

ინფორმაცია

25 ნოემბერს გაიმართება საქართველოს პარლამენტის სხდომა. წინასწარი მონაცემებით განზრახულია სხდომაზე დაისვას პარლამენტის პლენარული სხდომების კვლავ შეჩერების საკითხი, რის საფუძვლადაც იქცევა საგანგებო მდგომარეობის ვადის გაგრძელება.

რით უშლის ხელს პარლამენტის სხდომები ქუჩაში წესრიგის დამცველთაგან წესრიგის დაცვას, ეს ალბათ ერთ-ერთ პასუხგაუცემ კითხვად დარჩება...

დღეს ნომერში

„ჩვენი ცნობებით აფხაზებმა მოაწყეს ქართველთა თავების ხეივანი, დედის თვალწინ დახვრიტეს 20 წლის დათო ბიწაძე, 65 წლის მოხუცი ტრაქტორს გამოაბეს და ათრიეს, 60 წლის ქალს გული ამოაცალეს და ა.შ.“

ოთარ ნადარეიშვილის პრესკონფერენციიდან ქართველთა გენოციდის ეთნიკური წმენდის საკითხების შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-4 გვერდზე.

მიხეილ მახარაძე:

„განა შემთხვევითია ის ფაქტი, [illegible] ერთი-ორი კვირის განმავლობაში, არა[illegible] რალო ადაშიანებში, არამედ უმაღლეს[illegible] ლისუფლებაში და ინტელიგენციის [illegible] ნაწილში დიამეტრულად იცვლება [illegible] კიდებულება სნგ-ში გაწევრიანებასთან და კავშირებით? განა შემთხვევითია ის ფაქტი, რომ დღეს ახალდაწინაურებულთა ბიოგრაფიაში სულ უფრო და უფრო დომინირებს მათი კომკავშირული და კომუნისტური წარსული?“

პასუხი ამ კითხვებზე გაზეთის მე-5 გვერდზე სტატიაში „მიჯნა“.

„ორივე მხარე უნდა ჩამოსცილდეს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ასპარეზს და ჩატარდეს ახალი არჩევნები, რათა ძირითადად მოვიდნენ ახალი ძალები, ისინი ვისაც [illegible] სამარცხვინო და დანაშაულებრივ ძალისხმევი[illegible] პოლიტიკურ დავაში წილი არ უდევს.“

ასე ფიქრობს პარლამენტის წევრი ამირან ნადარაია. იხილეთ მისი სტატია „სამოქალაქო ომი მოუშუშებელი იარაა“ მე-2 გვერდზე.

„საქმე ისე მიდის, შეიძლება ამ ეტაპ[illegible] რუსეთმა გასწიროს შანიბოვ-სოხლანბ[illegible] კოვების სამსახური და კულუმბეგოვ[illegible] შემცვლელ ჩიბიროვს სულაც არ ეპიტ[illegible] ვება მათ გადაყვეს „შეყვარებული [illegible] არ ჰყოლიას“ პრინციპით“. ამბობს მერ[illegible] მაისურაძე ჩვენს პუბლიკაციაში „რა ხდება ცხინვალში“ მე-5 გვერდზე.

...სვანეთის მთებში ასამდე ქართველი დაიღუპა

მიმდინარე წლის 3 ოქტომბერს, ტელევიზიით, ბ-ნმა ნოდარ ნათაძეს სთხოვა გეოლოგებსა და ალპინისტებს მოსულიყვნენ პარლამენტის შენობის წინ, რათა შექმნილიყო სვანეთში მყოფი აფხაზეთიდან ლტოლვილ ადამიანთა დასახმარებლად სამშველო რაზმი. მეორე დღეს, პარლამენტის წინ, უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. მათ შორის იყვნენ არამარტო გეოლოგები და ალპინისტები, არამედ ექიმები და სხვა პროფესიის ადამიანები, რომლებიც მოითხოვდნენ სვანეთში წასვლას. სამწუხაროდ, ყველა მათგანის სურვილი ვერ დაკმაყოფილდა და სვანეთისკენ დაიძრა 12 ავტობუსი, რომელიც ბ-ნ ნოდარ ნათაძის უშუალო ჩარევით გადაეცა სამშველო რაზმს. გარდა ამისა, მათთვის გამოიყო 2 ვერტმფრენი, 1 ავზი სწავი, რამოდენიმე ტონა პური, კარტოფილი, ხახვი და ა.შ.

მაშველთა რაზმს დაეკალა დახმარებოდნენ ლტოლვილებს, რომლებიც გადმოდიოდნენ კოდორის აუზიდან (სოფ. საკენიდან) ხიდას უღელტეხილზე (სიმაღლე 2 712 მეტრი), მდინარე ნენსკის ხეობაში (მდინარე ენგურის მარჯვენა შენაკადი), სოფ. ჭუბერში. აქ უკვე მუშაობდა მთავრობის მიერ შექმნილი შტაბი ბორის სარალიძის ხელმძღვანელობით.

მაშველთა რაზმი გაიყო 3 ჯგუფად: 1 ჯგუფი გელა მიქაბერიძის ხელმძღვანელობით დასანკა ტყისა და ალპური ზონის საზღვარზე (ჯგუფი შედგებოდა 23 კაცისაგან); ii ჯგუფი — ლაშა ფულარიანის ხელმძღვანელობით, დასანკა ხიდას უღელტეხილის აღმოსავლეთ ზოლში (ჯგუფი შედგებოდა 15 კაცისაგან); iii ჯგუფი კი დასანკა ხიდას უღელტეხილის დასავლეთით, კოდორის ხეობაში. სვანეთში ჩასული ამ ჯგუფების მიზანი იყო მათი მოძიება მუშაობის გამოცდილებისა და ადგილის ცოდნის გამოყენებით მიცვალებულების ჩამოსვენება, ჭუბერში მათი დაკრძალვა და ფეხით მომავალი, განწამები ხალხისთვის დახმარების გაწევა. სვანეთში ამ ჯგუფებს ადგილზე დახვდა საქართველოს რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოების ოპერატიული სამშველო სამსახურის „სანთელის" წარმომადგენლები (ხელმძღვანელი ბ-ნი თეიმურაზ ქუმსიშვილი), რომლებიც დიდ დახმარებას უწევდნენ გათოშილ, დაქანცულ ხალხს.

და ამ ფონზე რაოდენ გულსალაკი და მარილაც შეშარავია ის ფაქტი, რომ გოლგოთას გზას შემდგარ ადამიანთა დასახმარებლად წასულ მაშველ რაზმს ოქვე, სვანეთის მთებში აყაჩაღებდნენ და ამას აკეთებს არა ჩეჩენი, არა აფხაზი, არამედ ისევ ჩვენიანი, ადგილობრივი.

ამასთან დაკავშირებით, ii რა გვიამბო მაშველთა რაზმის ii ჯგუფის ხელმძღვანელმა, ბ-ნმა გელა მიქაბერიძემ: „ბესტიიდან დახლოებით 5 კილომეტრში, სასმ ჭუბერამდე მივიდოდით, შემოგვაღამდა და უცებ ატყდა სროლა. შეიარაღებულმა ახალგაზრდებმა გვიძიელეს ავტობუსი გაგვერკვეთ. მათ მოითხოვეს ჩაგვბარებინა იარაღი, რომელიც ჩვენ არ აღმოგვაჩნდა, თუმცა სხვა ავტობუსებში რამდენიმე ჩვენს კოლეგას წამოღებული ჰქონდა (ყველ შემთხვევისთვის) სანადირო თოფი, რომელიც ჩამოართვეს და მიიმალნენ".

ალბათ, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მაშველ რაზმს თან ახლდა ე.წ. შეიარაღებული დაცვა, რომელსაც ევალებოდა მათი მშვიდობიანად ჩაყვანა დანიშნულ ადგილამდე. მაგრამ ამ დროს, როგორც ჩვენთან ხდება ხოლმე, ისინი თურმე სადღაც უკვალოდ გაქრნენ. თუმც, ამ ფაქტს ბ-ნი გელა მიქაბერიძე ჩვენთან საუბარში მინდამინც დიდ ყურადღებას არ აქცევდა: „შეიძლება ჩვენი დაცვა კარგადაც მოიქცა,რომ თავი აარიდა მათთან შეტაკებას, თორემ ვინ იცის, შეიძლება ყველაფერი მსხვერპლითაც დამთავრებულიყო"-ო — ასე ფიქრობს იგი.

სამწუხაროდ, ქართველები თითქოს ეკარგავთ ყველა იმ თვისებას, რითაც ვამაყობდით ოდითგან. თურმე არიან ჩვენს გვერდით ადამიანები, რომლებიც ჩვენს თავზე დატრიალებული უბედურებითაც კი ხელს ითბობენ, თურმე არიან ქართველები, რომლებისთვისაც თანამოძმის სიცოცხლე ჩარჩენ. ალბათ, ეს ფაქტი ბ-ნ ნოდარ ნათაძეს ერგებოდა ყველაზე ადრე, ოღონდ ეს ფაქტი ბ-ნ ნოდარ ნათაძეს ერგებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრული

სამოქალაქო ომში ხელისუფლების გამარჯვება უფრო სამხედრო წარმატებად ჩაითვლება, ვიდრე იდეოლოგიურ გამარჯვებად.

მართალია ამ დამარცხებით შესუსტდება გამსახურდიას მხარდამჭერთა პოზიცია, მაგრამ პოლიტიკურ ნიადაგზე ურთიერდაპირისპირება შეიძლება გამწვავდეს და უფრო გაძნელდეს ერის გამთლიანება. რაც შეეხება ზვიად გამსახურდიასა და მის გარემოცვას, რომლებმაც ეს ომი წამოიწყეს, მათ მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯს ვერ გაამართლებს თუნდაც ის ფაქტი, რომ თავის დროზე ისინი ძალმომრეობით დაამხეს და გარეკეს. იგივე მეთოდებით მათ მიერ ხელისუფლების დაბრუნების ცდამ და მიზნის მისაღწევად ნებისმიერი ხერხის გამოყენებამ ისინი უმძიმეს დანაშაულობამდე მიიყვანა. ქვეყნისთვის იმ გაჭირვების ჟამს, როდესაც წყდებოდა აფხაზეთის ბედი და ვკარგავდით ჩვენს მიწა-წყალს, მათ მომენტით კი არ უნდა ესარგებლათ, არამედ მდინარე ცხენისწყლის გაღმა-გამოღმა ბრძოლის გაჩაღების ნაცვლად ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად აფხაზეთში უნდა ებრძოლათ და იქ საკუთარ ხალხსა და სამშობლოს გვერდში ბოლომდე დადგომოდნენ.

ხალხი დააფასებდა ასეთ ეროვნულ-პატრიოტულ საქციელს და საფუძველი ჩაეყრებოდა შერიგების პროცესს და ერის გამთლიანებას. შესაძლებელი გახდებოდა ფიქრი ისეთი არჩევნების ჩატარებაზე, რომელშიაც ზვიად გამსახურდიას მხარეც შეძლებდა მონაწილეობის მიღებას და იქნებ ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილიყო ეს საბედისწერო დავა.

დღეს კი, როდესაც ქვეყანა გაპარტახებულია, სრული პოლიტიკურ-ეკონომიკური კრახი განვიცადეთ და სახელმწიფო დამნაშავეთა სამყაროს, მაფიისა და კორუმპირებული ელემენტების სათარეშოდ არის გადაქცეული.

როდესაც ხალხი ტერორიზებული, გადაქანცული და სიღატაკის პირამდეა მიყვანილი, დავკარგეთ ტერიტორიის საკმაო ნაწილი სამოქალაქო ომმა კი ახალი სირთულეები შეგვიქმნა და ახალი მოუშუშებელი იარები გაგვიჩინა, ასეთ ვითარებაში, არა მგონია, რომელიმე დაპირისპირებულ მხარეს ქონდეს მორალური უფლება პრეტენზია განაცხადოს ქვეყნის მმართველობაზე. კმარა, საკუთარი ქვეყნის დამანგრეველი ძალები ხალხს არ სჭირდება. ორთავე მხარე უნდა ჩამოსცილდეს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ასპარეზს და ჩატარდეს არჩევნები, რათა ძირითადად მოვიდნენ ახალი ძალები, ისინი ვისაც ამ სამარცხვინო და დანაშაულებრივ ძალისმიერ პოლიტიკურ დავაში წილი არ უდევს.

ამირან ნადარაია
პარლამენტის წევრი
საქართველოს
სახელმწიფოებრივ-
ეროვნული მთლიანობის
პარტიისა და საზოგადოებრივ
ორგანიზაციათა ლიგის
თავმჯდომარე

ესენგე თანამეგობრობა კი არა, კავშირი?

ესენგეში შესვლასთან დაკავშირებული მთელი კამპანია მიმდინარეობს თანამეგობრობაში გაწევრიანების მოტივით, მაშინ როდესაც ესენგეს შემადგენელ სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს ბოლო სხდომაზე, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დაჟინებული მოთხოვნით, უკრაინისა და თურქმენეთის პრეზიდენტების მხრიდან დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ დაერქვას თანამეგობრობას კავშირი და იწოდებოდეს როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირი.

კავშირი რომ სახელმწიფოთა (თუნდაც დამოუკიდებელთა) უფლებების მეტი შეზღუდვაა, ვიდრე თანამეგობრობა, სახელმწიფოს მეთაურს თავის ერთერთ ადრინდელ ინტერვიუშიაც კი უთქვამს, თუმცა არც თანამეგობრობაა მასში შემავალ სახელმწიფოთა სილალის გარანტი. ასეც რომ არ იყოს, სსრ კავშირში ყოფნის 70-წლიანი მწარე გამოცდილებაც საკმარისია, ალბათ, მდგომარეობის გასაგებად.

მკითხველის ყურადღება იმ გარემოებასაც მინდა მივაქციო, რომ ესენგეს წესდების 22-ე მუხლის მიხედვით „სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოსა და მთავრობათა მეთაურების საბჭოს გადაწყვეტილებანი მიიღება საერთო თანხმობით — კონსენსუსით...“, მაშინ, როდესაც თანამეგობრობის კავშირად გადაქცევის სასტიკი წინააღმდეგნი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობით, იყვნენ უკრაინისა და თურქმენეთის პრეზიდენტები. გამოდის, დაირღვა წესდება, სხვაგვარად გაუგებარია, როგორ იქნა მიღებული გადაწყვეტილება.

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე მოსალოდნელია, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული Cესენგეს წესდებაც უნდა შეიცვალოს დარქმეული კავშირის შესაბამისად; რუსულ ენაზე უცვლელი აბრევიატურა СНГ— თანამეგობრობა, ქართულად დსთ, უნდა შეიცვალოს СНГ -კავშირით, დსკ-თი.

კიდევ რა და რამდენი რამ შეიცვლება წესდებაში ჩვენს დაუკითხავად და ჩვენს საზიანოდ უფალმა უწყის.

რევაზ სალია

ქართული კუპონი — ჩვენი ფიქრის საგანი

საქართველოს ეროვნული ბანკის კუპონი, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ატრიბუტთაგანი, დღეს კალეიდოსკოპური სისწრაფით უფასურდება. მისი პერსპექტივაც ისეთივე უიმედოა, როგორც ,ჩვენი ყოფა მთლიანად.

დღეს თბილისი „ვალუტის გადაცვლელი პუნქტების“ ბუმმა მოიცვა. ასეთ პუნქტებს ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე შეხვდებით და მათი რიცხვი წვიმის შემდეგ აღმოცენებული სოკოებივით იზრდება. რამ განაპირობა მათი სიმრავლე? ან საერთოდ რა მიზანი აქვთ?! ისინი ხომ თავიანთი კონიუნქტურით, თავის შეხედულებისამებრ ადგენენ კუპონის კურსს სხვა ვალუტების მიმართ. მაშ რისთვის ადგენს ეროვნული ბანკი კუპონის კურსს (მაგალითად 1:22-ზე რუსული მანეთის მიმართ, მაშინ როდესაც ეს პუნქტები 1-2-ჯერ მეტად ყიდულობენ ამ მანეთს), თუკი ამას აზრი არა აქვს.

ნეტავ გამოჩნდებოდეს პროვინება, რომელიც აგვიხსნიდა, თუ ამ პუნქტების არსებობით რა შვება აქვს მოსახლეობას, ან ხაზინაში თუ შედის რამე? მე მგონია, რომ ისინი კიდევ უფრო ხელს უწყობენ კუპონის გაუფასურებას.

ჩემი აზრით, მიმდინარეობს ქართული კუპონის გეგმაზომიერი, მიზანმიმართული და გათვლილი დისკრედიტაცია. კუპონი რომ ვერ იქნებოდა მყარი, ეს მისი შემოღების დღიდან ცხადი იყო, რადგან ეკონომიკური კანონები არაა ჩვენს კეთილ ნებაზე დამოკიდებული, მაგრამ ამ უბადრუკი კუპონის გაუფასურებას ხელოვნურადაც აქვს მხარდაჭერა. კი მაგრამ რისთვის? — ალბათ იკითხავს მკითხველი.

ჩემი აზრით, ვილაც-ვილაცეებს უნდათ მოსახლეობა დაარწმუნონ, რომ კუპონის შემოღება იყო პოპულისტური ნაბიჯი და მთავრობა მაინც წავიდა ამაზე, რომ მისი შემოღება იყო ნაადრევი და ქართულმა ვალუტამ არ გაამართლა, რადგან მოუმზადებელი ვიყავით ამისთვის, ამიტომ აღმოეჩნდით ჩიხში. გამოსავალი კი ისაა, რომ, უნდა უარი ვთქვათ ჩვენს ვალუტაზე და შევიდეთ სამანეთო ზონაში. ხმები ამის შესახებ უკვე შეპარვით გაისმის.

ალბათ, მალე აღარც დამოუკიდებლობის ერთ-ერთი ნიშანი — საკუთარი ვალუტა აღარ გვექნება, ისევე როგორც დამოუკიდებლობა მთლიანად. სნგ-ში შესვლით მივცემით სალათას ძილს, რომლითაც გვეძინა ათეული წლების განმავლობაში.

ზაზა ნანოგაშვილი
იურიდიული ფაკულტეტის
მე-3 კურსის სტუდენტი

მათ ხსოვნას სანთლებად ავინთებთ!

ომმა დაგვიტოვა გამუდმებული ტკივილი, ღრმა იარა. ომმა გაგვიმრავლა შაოსანი ქალები, „გულმოკლული დედები“.

ამ ნეკროლოგში საუბარია მხოლოდ ერთ ოჯახზე. ომმა შეიწირა მისი ორი ვაჟკაცი.

ზვიადი და გიორგი უგრეხელიძეები ძმები იყვნენ, გოგი ჩაკვეტაძე მათი ძმაკაცი.

სამშობლოს სიყვარულმა წაიყვანა სამივე ომში .

უშენოდ მოვიდა 24 ოქტომბერი, შენი დაბადების დღე, ზვიად!.. 24 ოქტომბერს 25 წელი შეგისრულდებოდა. ომმა არ დაგაცალა შენი მიზნების და ოცნებების შესრულება. ხომ ამბობდი „ჩვენ თუ დავიღუპებით ჩვენს უკან ხომ საქართველოა“. ამ სიტყვებს შესწირეთ თავი.

შენ ხომ 24 წლის წახვედი ჩვენგან და დაგვიტოვე ცრემლი, მწუხარება, გულის ტკივილი, ზვიად. მაგრამ ის გვაიმედებს, რომ შენ სამშობლოს გმირი ხარ. შენ სამშობლოს შესწირე შენი ლამაზი სიცოცხლე. ომის დაწყების პირველ დღიდანვე დადექით ძმები გუმისთის სადარაჯოზე. გიორგის უყვარდა ხშირად თქმა: „საქმეს ასე სჭირდება, ორი ძმები კი არა, ცხრა ძმაც რომ ვიყოთ, სადაც საჭიროა, იქ დავდგებითო“.

მტერს ვაჟკაცურად ხვდებოდით სამივენი. მაგრამ იმ ავად მოსაგონარ დღეს 23 თებერვალს პოზიციური ბრძოლის დროს მტერთან პირისპირ ბრძოლაში დაიღუპე. შენი ალალი ძმის გიორგის ხელში დალიე სული. გაოგნებული დადიოდა გიორგი შენი დაღუპვის შემდეგ უშენოდ. თქვენ ხომ განსაკუთრებული ძმობა გქონდათ. შენი დაღუპვის შემდეგ გონს არ ვიყავით მოსული, რომ ბედისწერამ ახალი უბედურება დაგვატეხა თავს, ჩვენი ძმები გიორგი და გოგიც იმსხვერპლა მტრის ტყვიამ. ეს მოხდა სოხუმის დაცემის დროს.

ვაი, რა სასტიკი სიკვდილი გხვდათ წილად ძმებო! ულმობელად დაგცხრილეს ორივენი. ნუთუ დედა არ ჰყავდათ ურჯულოს, ნუთუ და არ ყავდა.

თქვენ ხომ განუყრელი მეგობრები იყავით, თქვენი მიზნები და სურვილები ერთი იყო. თქვენ სამი ვაჟკაცი სამივე გმირები ხართ. თქვენს საფლავზედ ვერ მოვდივართ, თქვენი საფლავი ხომ იქ არის, სოხუმში, საიდანაც დევნილები ვართ ჩვენს მიწა-წყალზე...

ასე იყო ავადსახსენებელი 16 სექტემბერს, თუმცა, არა ახლაც ასეა, გიორგი და გოგი ერთად დაიღუპნენ, ერთად აღესრულნენ და ერთადაა მათი საფლავები. მხოლოდ კელასურში, შენს გვერდით კი არა ზვიად, რადგან ეს ვერ მოხერხდა.

დაგვრჩა მხოლოდ მოგონება. ტყვიების წვიმაში გამოტანილ თქვენს სურათებს დავცქერით და ცრემლებით ვალბობთ დევნილებად ქცეულნი. მსუბუქი იყოს თქვენთვის საქართველოს მიწა! ნათელი დაადგეს თქვენს ლამაზ სულს!

აფხაზეთში შექმნილია ოთხი საკონცენტრაციო ბანაკი, სადაც აწამებენ და ხოცავენ ქართველებს...

(პრესკონფერენცია აფხაზეთში ქართველთა გენოციდისა და ეთნიკური წმენდის საკითხის შესახებ)

ამ იმდინარე წლის 16 ნოემბერს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრ[illegible] ჟურნალისტებისთვის ძოეწყო პრესკონფერენცია, აფხაზეთში ქართველთა გენოციდისა და ეთნიკური წმენდის საკითხის შესწავლის თაობაზე. პრესკონფერენცია მიჰყავდა ბ-ნ თამაზ ნადარეიშვილს, რომელსაც როგორც პრემიერ-მინისტრს დაევალა კოორდინაცია გაუწიოს აღნიშნულ საკითხს. მან აღნიშნა, რომ შეიქმნა კომისია, სადაც გაერთიანებულია 33 წევრი, თუმცა კომისიის მუშაობაში გაცილებით ნაკლები ღებულობს მონაწილეობას. კომისია 1 თვეა რაც მუშაობს, ამ ხნის განმავლობაში შეიძლებოდა მეტის გაკეთება, რაც სამწუხაროდ ვერ მოხერხდა. კომისია შედგება რამდენიმე ჯგუფისაგან, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით მუშაობენ. შემაჯამებელი შეხვედრა კი იმართება კვირაში ერთხელ, ორშაბათობით 5 საათზე. ჩვენი მიზანია მეტი მასალების შეგროვება და არძინბასა და მისი ხროვის წარდგენა სასამართლოს წინაშე. კომისიას გადაწყვეტილი აქვს მოიწვიოს ის უცხოელი სპეციალისტები,იურისტები, რომლებსაც გააჩნიათ ჩვენზე მეტი გამოცდილება, რათა ჩაერთონ მუშაობაში.

როგორც ვიცით, აფხაზებმა გამოსცეს ბროშურა „აფხაზეთი“ ინგლისურ ენაზე, სადაც მოცემულია მოკლე ისტორიული ექსკურსი. აქ საუბარია მათთვის სასარგებლოდ, მთელი სიყალბით ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე და დემოგრაფიულ საკითხებზე. ბროშურა 99 %-ით სიცრუით არის შედგენილი. მათთვის ეს არის პროპაგანდისტული ნაბიჯი. როგორც ყოველთვის, ჩვენ კვლავ დავაგვიანეთ და ახლა კი მიმდინარეობს მუშაობა ქართული ბროშურის შესადგენად, სადაც საუბარი იქნება იმ პრობლემებზე, რომელიც არსებობდა აფხაზეთში ქართველებისათვის ომამდე და ომის შემდეგ.

ბ-ნმა თ.ნადარეიშვილმა აღნიშნა, რომ არძინბა დიდი ხანია ემზადებოდა საბრძოლველად, მაგრამ ჩვენი მთავრობა რეალურად არ აფასებდა არსებულ მოვლენებს, რამაც დაგვლუპა. არძინბამ კარგად გათვალა სამეგრელოს ამბებიც, იცოდა რა ჩვენი დაპირისპირების შესახებ, მშვენივრად ისარგებლა ამით. მაშინ, როდესაც ჩვენში არეულობასა და გათიშულობას ჰქონდა ადგილი, არძინბა ამზადებდა ქართველთა გენოციდის გეგმას: აფხაზეთში მოაწყო ფესტივალი, რომელიც მიეძღვნა ადიგეის კულტურას. ამ ხერხით მან შემოიყვანა აფხაზეთში ადიგელები და დატოვა ჩვენთან საბრძოლველად.

14 აგვისტოს საქართველოს ჯარი, რომ არ შესულიყო აფხაზეთში, 17 აგვისტოს დაგეგმილი იყო ქართველების მასიური განადგურება: ერთ ღამეს ისინი აპირებდნენ მოეწყოთ ქართველთა ამბოხება აფხაზების წინააღმდეგ, რასაც მოჰყვებოდა ქართველი ლიდერების ამოხოცვა, ქართველ მოსახლეობას კი გამოდევნიდნენ. ამასთან ენგურჰესის მეშვეობით დროის სულ მოკლე მონაკვეთში ამოხოცავდნენ ათასობით ქართველს.

რაც შეეხება ტყვეებს, ისინი ძალიან ბევრნი არიან. აფხაზეთში შექმნილია 4 საკონცენტრაციო ბანაკი, სადაც მიმდინარეობს ქართველთა ხოცვა-წამება. ტყვეებს შორის არიან ჟურნალისტებიც. მაგ: ბ-ნი ალექსანდრე ბერულავა უკვე მეორედ ჩაუვარდა მათ ხელში. ამჟამად იმყოფება გუდაუთის ყველაზე მკაცრი რეჟიმის საკონცენტრაციო ბანაკში და აპირებენ მის გასამართლებას.

აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თანამშრომლებიდან 25 კაცის ბედი უცნობია, თუმცა ამბობენ, რომ მათგან ბევრი დახვრეტილია, თუმცა ეს არის მხოლოდ ზეპირი ინფორმაცია.

ჩვენი ცნობებით, აფხაზებმა მოაწყეს ქართველთა თაკვების ხეივანი, დედის თვალწინ დახვრიტეს 20 წლის დათო ბიწაძე, 65 წლის მოხუცი ტრაქტორს გამოაბეს და ათრიეს, 60 წლის ქალს გული ამოაცალეს და აშ. აფხაზები ამჟამად აკონტროლებენ ენგურჰესს, რაც დიდ საშიშროებას უქმნის არამარტო საქართველოს, არამედ სხვა რუსპუბლიკებსა და თურქეთს.

ამჟამად ყველაფერი კეთდება აფხაზეთის დასაბრუნებლად. უახლოეს დროში მოხდება დიდი გარდატეხა, რასაც მოჰყვება ჩვენი გამარჯვება. ჩვენ უნდა ვიყოთ მზად საბრძოლველად როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო მიმართულებით. მე უფრო რეალურად სამხედრო გზით მიმაჩნია აფხაზეთის დაბრუნება. ყველაზე მთავარი გზა კი მაინც, სამეგრელოს პრობლემის მოგვარებასა და ქართველთა გაერთიანებაშია.

ირმა ლომაური

ისეთ გამსახურდიას საქართველო არ დაპირისპირებია, ასეთ საქართველოს ექსპრეზიდენტი არ უნდა დაუპირისპირდეს!

Ამასწინათ რუსეთის ტელევიზიის „ნოვოსტის“ ცნობით ექსპრეზიდენტის მეუღლემ ბანანა არჩვაძემ განაცხადა, რომ გამსახურდია საქართველოს ტერიტორიას არ დატოვებს და ბოლომდე იბრძოლებს თავისი მიზნის მისაღწევად. ცნობილია ისიც, რომ გამსახურდია გალის რაიონში იმყოფება ერთგულ ამალასთან და მოკავშირეებთან ერთად და საეჭვოა, რომ მათთან ერთად დაიცავს „აფხაზეთის მწვანედროშოვან რესპუბლიკას“.

ამ ორიოდე წლის წინათ გამსახურდიამ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით — „სამეგრელოს საკითხი“ (წერილი მეორე 22.12.1989), სადაც იგი იხსენებდა გალის რაიონის მცხოვრებლებთან გამართულ საუბრებს. აღნიშნული სათაურით გამოქვეყნებულმა პუბლიკაციებმა და, კერძოდ, მათში გაცხადებულმა გამსახურდიას ეროვნულმა პოზიციამ მაშინ უდიდესი როლი შეასრულა მისივე ავტორიტეტის განმტკიცების საქმეში. ეროვნული მოძრაობის მაშინდელი ლიდერის მენტორული ტონი ეროვნულ საკითხებში გაუცნობიერებელი უმრავლესობის მიერ არათუ გამიზიანებლად, არათუ „დიდების ,,ართან“ მიმდგარი განდიდების მანიის მორიგ თვითრეკლამად იქნა აღქმული, არამედ მათთვის ეს იყო ბილადის თანამედროვე ქართული [illegible] — მესიის „იერუსალიმისკენ მიმავალი გზა“.

[illegible], რამდენიმე ადგილი ამ [illegible]ან:

„აუცილებელია მოიაროთ ჩვენი [illegible]ონები, დარწმუნდებით, თუ რა[illegible]დენ არასრულყოფილად ესმის „საქართველოს ცნება“ ჩვენი მოსახ[illegible]ლეობის დიდ ნაწილს. თუმცა [illegible] ითქვას, რომ შეუგნებელ [illegible]ბთან ერთად ამ ცნებას აყალბებენ და აკნინებენ შენიღბული მტრებიც, ქართულ გვარსა და ეროვნებას ამოფარებული ფსევდოინტელიგენტები, რომელთაც კარიერა დაუფენებიათ ერის სიყვარულზე მაღლა. ჩვენი ისტორიიდან ცნობილია, თუ რა იოლად პოულობდნენ მტრები შინაითგამცემლებს ქართველებს შორის. დღეს კი, როდესაც ჩვენში შინაითგამცემლების მთელი არმიაა, მტერს აღარ უჭირს თავისი მიზნების მიღწევა და შედეგიც სახეზეა“.

„ბოლოს ყველანი ერთად მეკითხებიან: „რისი ბრალია ყოველივე ეს?“

მტერს არ სძინავს, — ვპასუხობ მე, — მტერს ეშინია ჩვენი ერთობისა. გაიხსენეთ საბას იგავი ისრების კონის შესახებ. გაიხსენეთ ჩვენი დიდი მეფეების თავგანწირული ბრძოლა კუთხური სეპარატიზმის წინააღმდეგ, ჯვრითა და ხმლით. მტერი ყოველთვის იყენებდა ფეოდალურ, კუთხურ პარტიკულარიზმს და სამთავროებს ურთიერთზე აქეზებდა“.

იმ წლებში გამსახურდია დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სიმბოლოდ იქცა და საქართველო დაადგა თავისუფლებისა და ცივილიზებული სამყაროსკენ მიმავალ გზას. ოდონდ ფეოდალური ტალახით. ბოლშევიკურ მემკვიდრეობასა და ინტერნაციონალიზმიდან პირდაპირ ნაციონალიზმში გადანაცვლებულ საზოგადოებას არანაირი კავშირი არ აღმოაჩნდა პოლიტიკურ რაციონალიზმთან. გამართლება მიეცა მაკიავილისეული ლიდერის ტიპს, ფეოდალური შეგნების წინამძღოლს, რომელიც აცხადებს, რომ ქვეყანას სჭირდება ერთობა და ამავე დროს ქმნის მტრის აბსტრაქტულ სახეს, რომელსაც შემდეგ თავადვე ახორციელებს. არანაირი პოლიტიკური რაციონალიზმი, (რად ღირს თუნდაც არჩევნების ბოიკოტირება) რალა თქმა უნდა, არანაირი პოლიტიკური კომპრომისი და იქნებ ეს უკვე იყო, მისივე სიტყვებით, კარიერის დაყენება ერის სიყვარულზე მაღლა.

სულ მალე იგი დამარცხდა თავის შექმნილ მტერთან, მაგრამ ტრაგიკული მოვლენა აქ იყო ის, რომ საზოგადოებაში განმტკიცდა მტრისადმი ერთგვარი ემოციონალური დამოკიდებულება — „ყველაფერში დამნაშავე მტერია!“ და დღესაც, როცა საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული, ეგზალტირებული საზოგადოება მტრის სიძულვილის გამო ოვაციებით ხვდება საგანგებო მდგომარეობას, მტრის ბრალია,რომ სამართალდამცავები და მებაჟეები ხარკსა კრეფენ მატარებლებიდან და საბარგო ავტომანქანებიდან, დამნაშავე მტერია, როცა მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა უკიდურესად გაუწვავებულია და კორუფციის არცერთ ფაქტზე არაა აღძრული სისხლის სამართლის საქმე. სწორედ იმ ბოლშევიკურ-ზვიადისტური ფსიქიკის გამო დღეს მტერია და ყველაფერში დამნაშავეა ჩეჩნიც, ელემენტარული კრიმინალიც და ქუჩის ლაზღანდარაც.

აი, რას წერდა კიდევ ამავე სტატიაში გამსახურდია:

„მეცხრამეტე საუკუნეში რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, შავრაზმელმა რუსიფიკატორებმა მიზნად დაისახეს ჩვენი ქვეყნის კვლავ კუთხეებად დაქუცმაცება. მათ მოისურვეს უწინარეს ყოვლისა სამეგრელოს ჩამოცილება საქართველოსთვის“...

ჩვენი უკანასკნელი წლების ისტორიაში ჩაუხედავი კაცი ალბათ ვერც კი წარმოიდგენს, რომ გამსახურდია, ვინც საქმით ასე ბევრითად დაუჭირა მხარი გათიშულობას, მტრობას, ამ სიტყვების ავტორია.

საკუთარი სიტყვებისგან აბსოლუტურად დიფერენციული საქმიანობით აშკარად გამოირჩეოდა ექსპრეზიდენტი, მაგრამ ვფიქრობ, მისი პოლარიზებული საქმისა და სიტყვის კლასიკური ნიშუშია შემდეგი აბზაცი:

„აფხაზეთის ავტონომიის შექმნა განა ამ ინსტიქტებს არ ითვალისწინებდა, პატივმოყვარეობის ინსტიქტებს? აფხაზეთის მოსახლეობის 16 პროცენტისთვის ავტონომიის მიცემა და მისი გაბატონება დანარჩენ 84 პროცენტზე განა საუკეთესო საშუალება არ იყო აფხაზებისა და ქართველების ურთიერთგადაკიდებისა. საქართველოსთვის მისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის ჩამოცილებისა? როგორი ურთიერთობაა დღეს აფხაზებსა და ქართველებს შ ორის?“

მართლაც როგორი ურთიერთობა უნდა იყოს აფხაზებსა და ქართველებს შორის, როცა ამ სიტყვების გამოქვეყნებიდან სულ ორიოდე წლის შემდეგ გამსახურდიას უშუალო ხელშეწყობით აფხაზეთში აპარტეიდი ყალიბდება „დემოკრატიული არჩევნების“ საფუძველზე. აპარტეიდი არჩევნებით, მილოცვებით და ასე შემდეგ.

დიდი ინგლისელი მწერლის ჯორჯ ორუელის ცნობილი ნაწარმოებია „ცხოველების ფერმა“, რომელიც წარმოადგენს მწვავე ალეგორიას უმწიფარი საზოგადოების პოლიტიკური ბედის შესახებ. ნიშანდობლივია, რომ უმწიფარ საზოგადოებას ფერმის ცხოველები წარმოადგენენ და ძალაუფლებას აქ ღორები ეუფლებიან, რომლებიც უმოკლეს ხანში საკუთარი კეთილდღეობისათვის სწირავენ ყველას და მათი გონების მიერ შექმნილ ყოველგვარ „ღირებულებას“.

დიახ, ეს სტატია გამსახურდიას გალელებთან საუბარს წარმოადგენს გალის რაიონში, სადაც „მოკავშირე ჯარებთან“ ერთად გამსახურდია იმყოფება. ალბათ საქართველოს არცერთი მოქალაქე არ ისურვებდა ამგვარ სამხედრო ალიანსს საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ. ასეთ დროს ძნელია მიმართო ექსპრეზიდენტსაც, მაგრამ იქნებ მან ყური მიუგდოს საკუთარი დიდების დღეებს, უფრო სწორად, იმ სიტყვებს, რომლის წყალობითაც იგი პრეზიდენტი გახდა:

„ჩვენს აფხაზ ძმებს შევაგნებინოთ, რომ ჩვენ მათი მტრები არა ვართ, რომ ჩვენ საერთო მტერი გვყავდა მუდამ. რომ ჩვენ საერთო სამწერლობო ენა, საერთო კულტურა გვქონდა მუდამ, საერთო ისტორია. რომ დღეს ისინი ასიმილაციის უფსკრულისკენ მიჰყავს ჩვენი საერთო მტრების მიერ დაქირავებულ პროვოკატორ სეპარატისტებს, რომელთაც თავისი კარიერისთვის ხალხი გასწირეს.

მაგრამ ვაი, რომ მეორე სიმიც გაწყვეტაზეა. ეს არის სამეგრელო. სამეგრელოს დროზე თუ არ მივხედეთ, მერმე მთელი დასავლეთ საქართველოს პრობლემაც დადგება. ჩვენმა მტრებმა სამეგრელოში თუ მიაღწიეს თავის მიზანს, მთელ დასავლეთ საქართველოსაც იოლად მოუვლიან. სამეგრელოში ეროვნული შეგნების გაღვიძება კი აფხაზეთსაც უშველის. ამიტომ ნუ დავიშურებთ ძალას, ვუქადაგოთ ხალხს ჭეშმარიტება, გაკეთვიძოთ ეროვნული და რელიგიური გრძნობა, გავათვითცნობიეროთ, რათა მეორე სიმიც არ გაწყდეს და არ გაუჭდეს აკაკის ჩონგური“.

ექსპრეზიდენტთან დაპირისპირება ჩვენი იდეა-ფიქრი არაა. აი, ისეთ გამსახურდიას საქართველო არ დაპირისპირებია. აი, ასეთ საქართველოს კი ექსპრეზიდენტი არ უნდა დაუპირისპირდეს!

ვახტანგ ქომახიძე

რა ხდება ცხინვალში?

ჩვენი გაზეთის 21—27 ივლისის ნომრის ...ით-ერთ პუბლიკაციაში, რომელიც ცხინვალის ...მდებარე სოფელ ფრისში ოსური ომონის მიერ ...ურიელ ბანდფორმირების განადგურებას ეხე...ოდა, ვწერდით: „უახლოეს ხანებში ორ დაპირი...ირებულ მხარეს შორის ახალი სისხლისმღვრე...ი შეტაკებები გამორიცხული არ არის". დღეს ...ქართველოს საინფორმაციო საშუალებები ამ ...ტაკებების შესახებ მწირი ინფორმაციით ავსე...ნ ცხინვალის ირგვლივ გამეფებულ ვაკუუმს. ...ვათა შორის, ცხინვალში ოსური ომონის და ე.წ. ...არდიას შორის მომხდარ შეჯახებაზე პირველ...ად „ოსტანკინოს" სატელევიზიო არხმა აუწყა ...ყურებელს ა.წ. თოთხმეტი ნოემბრის დღის სამ ...ათზე.

და მაინც, რა მოხდა ცხინვალში?

ჯერ იმის შესახებ, თუ რატომ მოხდა ახლა ...ა არა „უახლოეს ხანებში", როგორც ჩვენ ვწე...დით „საქართველოს" ივლისის ნომერში. საქმე ...აა, რომ 27 ივლისს სოჭში დადებულმა ხელშე...ულებამ აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის შე...ებ შეანელა ოსთა შორის არსებული დაპირი...ირება. ელოდნენ, რომ ქართველები დასავლე...ს ფრონტიდან აღმოსავლეთისაზე გადაიტანდ...ნ ბრძოლის სიმძიმის ცენტრს. მათ დაივიწყეს ...ანხმოებანი და გაერთიანდნენ (ჩვენ ჯერჯერო...თ ამ დონემდე ვერ ავმაღლდით), მაგრამ ამით ...არსებული შინაგანი წინააღმდეგობანი არ მო...ობილა. მოსახდენი ადრე თუ გვიან უნდა მომ...ზრიყო და მოხდა კიდეც.

ფარფატ ჯიოევი, რომელიც სულ ახლახანს ოსური ომონის უფროსი გახლდათ და რომელმაც ასეთ აღიარებას ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი საზრიანობისა და ორგანიზაციული ნიჭის წყალობით მიაღწია, საკუთარ სახლში მოკლეს. ამ ყმაწვილს ასეც უნდა დაემთავრებინა, მაგრამ საქმე ერთი გააზნაურებული ყაჩაღის მკვლელობას არ ეხება მხოლოდ. საქმე ისაა, რომ მიმდინარეობს ბრძოლა გავლენის სფეროების გადანაწილებისათვის და ამ ბრძოლაში პირველი მსხვერპლი ახლად გამინისტრებული ჯიოევი აღმოჩნდა.

ის, რომ მკვლელი ოსია და დაპირისპირებული ოსური გვარდიის ინტერესებიდან გამოდის, უცილობელი ფაქტია. სწორედ ამ ოსური შეიარაღებული ფორმირების, უფრო სწორედ, მისი მაკონტროლებელი მაფიოზების ინტერესები ეჯახება ერთმანეთს ლიახვის ხეობის ამ ვიწრო ყელში. ცხინვალი კარგა ხანია გადაიქცა ნარკობიზნესის ბუდედ. თეთრი სიკვდილის შემოტანა-გასაღების საქმეში ჩართულნი არიან არა მარტო ოსური ფორმირებები, არამედ ქალაქის შემოგარენში მოქმედი ქართული ოფიციალური თუ არაოფიციალური სტრუქტურები, მათ შორის შეიარაღებულნიც.

არის შემოსავლის მეორე წყაროც: სომხეთის რესპუბლიკის ტრანსპორტი სწორედ ამ გზით — გორი-ცხინვალი-ჯავა-როკის გვირაბი ამარაგებს თავის ქვეყანას. ფოთის პორტთან ერთად ეს ერთადერთი გზაა და საზღვაო ჰიშკრისგან განსხვავებით — მუდმივმოქმედი. ეს თანქანის გაცილება ცხინვალის სამხრეთი შესასვლელიდან როკის გვირაბამდე ათი ათასი რუსული მანეთი ღირს. დღე-ღამეში კი რამოდენიმე ათეული მანქანა გადი-გამოდის. ოსი გვარდიელები საკმაოდ მუყაითად, კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ საქმეს და რადგან ამ გზის გარკვეულ, შვიდკილომეტრიან მონაკვეთს ქართველები აკონტროლებენ, შემოსავლის პროცენტები მათაც ხვდებათ. მოკლედ, საბაჟო, გზა, პიკეტები კონტროლდება ოსური გვარდიის მიერ, რომელიც ამ დიდი შემოსავლიდან ლომის წილს იღებს. ომონს მხოლოდ ცხინვალში და მის შემოგარენში ბანდიტებთან და მოროდიორებთან ბრძოლისათვის იყენებენ, რაც მათ რიგებში დანაკარგების მეტს არაფერს იწვევს. ამასთან, ყველა ბანდიტი და მოროდიორი გზების მაკონტროლებელ ძალებთან შეკრული თუ არ არის, წარმატებაზე ფიქრი ზედმეტია. ერთი სიტყვით, ქართველებთან ნორმარ ომონს სახელიღა დარჩა, არნორმარ, დაგომისის ...ულშეკრულების ბაზაზე შექმნილ გვარდიას კი, — სახრავი. ომონის უფროსი ფარფატ ჯიოევის შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნა აუცილებლად გამოიწვევდა ძალების გადანაწილებას და ის ვიღაცის ინტერესებში სულაც არ შედიოდა, მეხიც გავარდა.

დაძაბულობას ძალზე ამძაფრებს არსებული სოციალური პრობლემები. გაძვირდა პური — ასოცი მანეთი. ჩრდილოეთიდან შემოსული პროდუქტები მაფიოზური სტრუქტურების ხელში ვარდება, რომლებიც ამავე დროს ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურებსაც წარმოადგენენ. შემდეგ ეს პროდუქტები ქართველეთში ...დება. მოსახლეობის უდიდეს ნაწილს უჭირს, თუმცა ისე არა, როგორც ეს საქართველოს სხვა რეგიონებშია, დაუმატეთ ამას უხელფასობა. სამი თვის მანძილზე უხელფასოდ დარჩენილმა პედაგოგ-მასწავლებლებმა გაფიცვა გამოაცხადეს, თვით უნივერსიტეტად ახლად ნაკურთხ პედაგოგიურ ინსტიტუტშიც კი. მოსახლეობაში სულ უფრო იზრდება უკმაყოფილოთა ფენა, არამარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც. ზამთრის დადგომა კი პრობლემებს ზრდის. მიუხედავად ამისა, სეპარატისტული იდეებისადმი ერთგულება კვლავ დიდ გასავალშია ე.წ. სამხრეთ ოსეთში.

14 ნოემბერს ჩატარდა შეხვედრა ადგილობრივ ხელისუფლებასთან და კონფედერატებს შორის, თუმც უკანასკნელ ხანებში რუსეთ-საქართველოს შორის გარიგებები საკმაოდ აფერმკთალებენ კონფედერატ-ოსთა გარიგებების რეალობას. საქმე ისე მიდის, შეიძლება ამ ეტაპზე რუსეთმა გასწიროს შანიბოვ-სოსლანბეკოვების სამსახური და კულუმბეგოვის შემცვლელ ჩიბიროვს სულაც არ ეპიტნავება მათ გადაყვეს „შეყვარებული ვის არ ჰყოლიას..." პრინციპით. აქედან გამომდინარე, ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის განხილვაც მეტად ფრთხილად მიმდინარეობს, თუმცა ოსური პარლამენტი ბევრად უფრო რეაქციულ — ანტიქართულია, ვიდრე მათი ლიდერები იყვნენ და არიან.

დაპირისპირება კი სულ უფრო ღრმავდება და მძაფრდება. დაინგრა საოლქო აღმასკომის შენობა, ის ადგილი, სადაც ოსური სეპარატიზმი უკანასკნელ ხანებში ყვენა თავის ბოდვით ნაზრევს დოკუმენტურად აფორმებდა. იქნებ ვიღაცა კვალსაც შლის. სხვანაირად რა საქმე ჰქონდათ ომონელებს და გვარდიელებს ამ შენობასთან. მაგრამ ქაოალდის კვალის წაშლა რომც მოახერხონ კიდეც, სისხლისას ვერ წაშლიან. და საკუთარი სისხლით ზღავენ ცოდვებს.

მერაბ მაისურაძე

მ ი ჯ ნ ა

(ზოგადი შენიშვნები)

„ჯერ არც ერთ ერს დედამიწის ზურგზე ასე ვაჟკაცური თავგანწირვით არ გაუთვალისწინებია თავისი ქვეყნის მომავალი, ისეთი რიხითა და ზეიმით არ დაუსახავს თავისი ერის სვე-ბედი, როგორი გამგედაოგით ეს მოახერხეს ებრაელებმა" (ერნესტ რენანი, 1861 წელი).

საქართველო ის ქვეყანაა, რომელსაც ...ისი მძიმე და ხანგრძლივი ისტორიის ...ძილზე უფრო დაღმართებით უვლია, ...რე აღმართებით, თუმცა ამ გარემო...ამ ხელი ვერ შეუშალა მას თვითმ...ფადი კულტურის შექმნაში. თუკი ...ლტურის თვალსაზრისით საქართვე...ის საქმე შედარებით უკეთ მიუდიოდა, ...ელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებ...ბის აზრით ვითარება გაცილებით ...ძე გახლდათ. საქართველოს ისტორია ...ქტობრივად ეს არის დამოუკიდებლო...ათვის ბრძოლის ისტორია, ერთი ...ი ცდა დავით აღმაშენებელმა ...ამატებით დააგვირგვინა. მეორე ცდა 1918—1921 წლების დამოუკიდებლო... მოპოვება უდღეური აღმოჩნდა, ...ლო მესამე, ახლანდელი, ცდა კრახით ...თავრდა.

საქართველოს ისტორიიდან ამ სამ ...ენტზე მივაქცევთ მკითხველის ყურა...ებას, როცა გადამწყვეტი ნაბიჯები ...ი გადადგმული თავისუფლებისა და ...ოუკიდებლობის მოპოვებისათვის ...ოლის გზაზე. ამასთან შეეცდებით ...ომანეთს შევუდარეთ შინა მოსამზა...ელი პერიოდები, რომელთაც განაპი...ბეს აღნიშნული გადადგმული ნაბიჯე... ეს შედარება კი დაგვეხმარება ...კვეული შეფასება მივცეთ ჩვენში ...დინარე პროცესებს დღევანდელ ეტა...ზე.

ჩვენ, როდესაც დავით აღმაშენებლის ...ქას ვიხილავთ, ძირითადად აქცენტი ...აგვაქვს დავით მეფის განსაკუთრე...ობაზე, ვინც შეძლო საქართველოს ... და გათავისუფლება. ასევე დავით ...ს მივაწერთ რუის-ურბნისის საეკ...ო კრების სასიკეთო შედეგებს. ეჭვს ...შეა, რომ საქართველოს თავისუფ...ისა და დამოუკიდებლობის მოპოვე...თვის ბრძოლის ყველაზე წარმატე...ი ცდის მთავარი კონსტრუქტორი ...ი აღმაშენებელი გახლდათ, მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა მხოლოდ მისი ფენომენით აგვეხსნა ყველაფერი.

საკმარისია ჩვენი ისტორიისათვის უბრალოდ თვალის გადავლება და ცხადად დავრწმუნდებით, რომ ვიდრე საქართველო ამ, ყველაზე წარმატებულ ნაბიჯს გადადგამდა, საუკუნეებით ადრე დაიწყო ამისათვის სამზადისი. კერძოდ, ქართველმა ხალხმა ჯერ საკუთარ ცნობიერებაში მოახდინა გარდატეხა, ცნობიერებაში მოემზადა თავისუფლებისათვის. ეს განწყობა კი თანდათანობით პოლიტიკაშიც აისახა, რასაც საბოლოოდ პრაქტიკული ქმედებაც მოყვა. გავიხსენოთ, რომ საქართველოს გული — თბილისი, საუკუნეების განმავლობაში დამპყრობლის ხელშია, მაგრამ ამ დროს მიმდინარეობს დიდი კულტურული და აღმშენებლობითი საქმიანობა საქართველოში. ამ მხრივ, განსაკუთრებით თვალში საცემია ქართული კულტურული კერების შექმნა საქართველოს ფარგლებს გარეთ, სადაც მიმდინარეობდა დიდი მთარგმნელობითი მუშაობა. საზღვარგარეთ არსებულ ამ ქრისტიანულ-ქართულ კერებში ქართველი სწავლულები ისრუტავენ იმ დროის მოწინავე იდეებს, რაც კი ქრისტიანულ კულტურას შეუქმნია. მათი მეშვეობით ქართულ ენაზე ამეტყველდა ბიბლია, დიდი სჯულისკანონი, კაპადოკიელი მამები, არისტოტელე, პროფლე, არეოპაგიტული მოძღვრება, იოანე დამასკელი, ნემესეოს ემესელი და მრავალი სხვა თხზულებანი. საკაცობრიო კულტურის დიდ მონაპოვართა გადახარშვა-გათავისებამ კი საბოლოოდ ქართველი ხალხის სულიერი ერთიანობა განაპირობა, რაც ყოველგვარ გაერთიანებაზე ძლიერია.

ამ სულიერმა გაერთიანებამ კი ყველა პირობა და საფუძველი მომზადა გადამწყვეტი ნაბიჯის გადასადგმელად. დანარჩენი დროისა და შემოხვევის ამბავი იყო საქმის ბოლოშდე მისაყვანად. როგორც ისტორიული კანონზომიერების თანახმად ხდება, ამ დროს გამოჩნდა კიდეც დავით აღმაშენებლის სახით პიროვნება, ვინაც აღასრულა ისტორიულად შემზადებული და მომწიფებული საქმე.

უკვე აღინიშნა, რომ რუის-ურბნისის ცნობილი საეკლესიო კრების შედეგების შეფასებისას ძირითადად აქცენტი დავით აღმაშენებლის ღვაწლზე გადაგვაქვს და მართებულადაც, რადგან ყველაფერი ეს მისი მეფობის დროს და მისი ინიციატივით ჩატარდა. მაგრამ მოდით სხვა კუთხითაც შევხედოთ ვითარებას და ასე დავაყენოთ კითხვა: იმ დროის საქართველოში ქრისტიანობის განსაკუთრებული დონე რომ არ ყოფილიყო, შესაძლებელი იქნებოდა ამგვარი კრების ჩატარება და ეკლესიის მხრიდან სახელმწიფოს მმართველობისადმი লოიალური დამოკიდებულების მიღწევა? ვფიქრობთ შეკითხვაში პასუხიცაა მოცემული!

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ყველა იმდროინდელი სასიკეთო აქტი, რაც თავისუფალი ქვეყნის არსებობის დადასტურებაც იყო, შემზადებული გახლდათ მძლავრი კულტურულ-იდეოლოგიური ბაზისით, რაც საუკუნეების განმავლობაში მზადდებოდა. ამასთან, რამდენადაც მძლავრი იყო იმდროინდელი საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შემამზადებელი საფუძველი, იმდენად შთამბეჭდავი იყო მისგან გამომდინარე შედეგები. ამიტომაც არ იყო შემთხვევითი, რომ საქართველომ განვითარების განსაკუთრებულ სიმაღლეებს ყველა სფეროში თავისი ისტორიის ამ მონაკვეთზე მიაღწია...

1801 წლიდან იწყება ქართული სამეფოებისა და სამთავროების დამოუკიდებლობის თანდათანობითი დაკარგვა. ქართველი ხალხი ამ ფაქტს იოლად არ შეგუებია და დღიდან ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვისა, მისი დაბრუნებისათვის იბრძოდა (უამრავი გამოსვლები და აჯანყებები, 1932 წლის შეთქმულება და სხვ.). ისიც ცხადი შეიქმნა, რომ ამგვარი გამოსვლებით ვერაფერს დააკლებდი რუსეთის მძლავრ — ევროპის ჟანდარმად ცნობილ იმპერიას. ამის გათვალისწინებით ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის იდეამ ძირითადად ისევ სულიერ სფეროში გადაინაცვლა (მწერლობა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი, ფილოსოფია...). ასე რომ თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში ქართველი ხალხის საერთო სული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაბრუნების ახალი ცდისათვის ემზადებოდა. თუმცა ეს მოვლენა ვერც მასშტაბითა და ვერც სიღრმით ვერ შეედრებოდა დავით აღმაშენებლის ეპოქის წინა საუკუნეების სამზადისს.

გარდა ამისა, ამ პერიოდში, კერძოდ ყიყ-ყყ საუკუნეების დასაწყისში ევროპა მძლავრი სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობის ტალღამ მოიცვა. ეს ტალღა რუსეთს და აქედან საქართველოსაც გადასწვდა. სწორედ ამ დროს ქართულ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, რომელსაც სათავეში დიდი ილია ედგა, ერთდაგვარად თანაზიარი გაუხდნენ აღნიშნულ სოციალ-პოლიტიკური მოძრაობის ქართველი წარმომადგენლები. მეტიც შეიძლება ითქვას. ქართველები ვითარცა იმპერიის შემადგენლობაში მყოფ ხალხთა შორის სახელმწიფოებრიობის მქონე ტრადიციების მქონე ერი, იმთავითვე აქტიურად ჩაებნენ ამ სოციალურ-პოლიტიკურ მოძრაობაში, სადაც წამყვანი ადგილი ეკავათ მარქსიზმის ნაირსახეობებს. მარქსისტული კოსმოპოლიტური თვალსაზრისი კი ვერაფრით ვერ ეგუებოდა ეროვნულ თვითმყოფადობას და სწორედ ამიტომაც მისმა ქართველმა წარმომადგენლებმა ნიშანში ამოიღეს ილია ჭავჭავაძე და საბოლოოდ შესძლეს კიდეც მისი გზიდან ჩამოშორება. ეს კი დიდი დარტყმა იყო ქართული ეროვნული მოძრაობისათვის და გადამწყვეტი გავლენაც მოახდინა მის შემდგომ ბედზე. კერძოდ, როცა 1918 წელს დამოუკიდებლობის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა, ქვეყნის ბედ-იღბალი ილიას პოლიტიკური და იდეოლოგიური რეპონენტების და არა მხოლოდ პოლიტიკური და იდეოლოგიური ხელშ... აღმოჩნდა, რომელთა პლატფორმაშიც ქვეყნის დამოუკიდებლობის იდეა არავითარ ...ში არ ასრულებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილუზია და სინამდვილე

ბაზრებში დახლებზე დახვავებულ თუ ქუჩაში ჩამწკრივებულ-გამომზეურებული პროდუქტების მიხედვით ძნელად დაიჯერებს კაცი, რომ ჩვენს ქვეყანაში ხალხს ასე უჭირს, რომ ადამიანები შიმშილობენ. ხანამდვილეში პროდუქტის ის ნაუხვე ასეთივე მცდარი. ილუზიერია, როგორც ჩვენი ხუთ და ხანდახან ექვსციფრიანი ხელფასები, საარსებო მინიმუმსაც რომ ვერ აკმაყოფილებს. ამის გამია, ბიოლოგიურმა მოთხოვნილებამ ასე აშკარად თვალდათვალ დაჩაგრა ზნეობა, გადააგვარა მორალი; მათხოვრობასა და ქურდობას ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით. ისეთი კატეგორიის ადამიანებიც გაჩნდა, ბაზრებში ჩანთებით რომ დადიან და ნახევრადგაფუჭებულ, გადაგდებულ თუ დაუდევრობით დაკარდნილ პროდუქტებს აგროვებენ.

ბაზარი ის სარკეა, რომელშიც ყველაზე უკეთ ჩანს ჩვენი სოციალური პრობლემები, ისიც, რომ გაჭირვება მხოლოდ უპოვარი და დამშეული ... არა, შეძლებულნი, მდიდრებიც გადაკარა. პირადად შევესწარი, მოხუცი ქალს, ლანდი რომ გახდეოდა, როგორ გადაუგდო ბრგე ჯიელმა თითის სიგრძე ხორცად წოდებული ძვალი. ასე ჩვენში ძაღლსაც არ მოექცეოდნენ. აღშფოთების გრძნობა შეცოდებამ შეცვალა. სულიერად ხორცის გამყიდველს გაცლებით უფრო უჭირდა.

ბაზრის გადაგვარებას ხელი იმანაც შეუწყო რომ აქ გლეხს გზა გადაეკეტა. იგი მაფეთხური გაელეხის კლანჭებშია. სპეკულანტები თითქოს ძალით გლეჯენ გლეხებს პროდუქციას და შემდეგ ბაზარს თავის ფასს კარნახობენ.

დღეს ქორვაჭარმა ბიზნესმენის ნიღაბი მოიარგო. მათი ნაწილი პირდაპირ გეუბნება — ამდენი და ამდენი დამიჯდა და შენ ნაკლებად როგორ მოგყიდოო.

როგორ მოგწონთ? რკინის ლოგიკაა, მე შენ გეტყვი და სამართალდამცავი ორგანოებით შეაშინებ.

ბაზართან დაკავშირებული პირდაპირი თუ არიბი პრობლემები იმდენია, გადაგწყვეიტეთ თბილისის ცენტრალურ საიჯარო საკოლმეურნეო ბაზრის, ე.წ. „ლენინგრადის“ ბაზრის დირექტორს ბატონ ლაერტი ზუბადაშვილს ვწვეოდით.

ჩემი ყურადღება იმთავითვე მიიპყრო სიტყვა „საიჯარომ“; საუბარიც ამით იწყო.

1990 წლის რვა თვისიდან ცენტრალურ ბაზრისა და ქალაქის სამომხმარებლო სახოგადოების გამგეობასთან შეთანხმებით გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება. ხელშეკრულება ხელშეკრულებად, მაგრამ პროცედურა ქაღალდებს არ გასცილებია. ზემდგომები „რატომლაც“ ვერ შეეგუენ ბაზრის ავტონომიას. დღეს ჩვენ ორი ბატონის მსახური ვართ: კომორჩილებით მერიაში შექმნილ ქალაქის ბაზრების განყოფილებას და იქვე არსებულ ვაჭრობისა და მომსახურების სამმართველოს; გვითხრა ბატონმა ლაერტმა და გააგრძელა, — არადა, იჯარას ბევრი სიკეთის მოტანა შეეძლო. ჯერ ერთი, მოიჯარადრე პატრონად ჩათვლიდა თავს, გაუფრთხილდებოდა ინვენტარს, საერთოდ, მატერიალურ ბაზას. გამოირიცხებოდა ჩრდილოვანი მხარე — პროტექციონიზმით სამსახურში ვინმე უღირსის მიღება. ამას თვითონ ბაზრის კოლექტივი დაუდგებოდა წინ. და, რაც მთავარია, აღარ გაჩქნებოდა ზედმეტი ხარჯები, ვთქვათ ზემდგომი ორგანიზაციების შენახვისა.

ამას გარდა, ბაზრის ტერიტორიაზე მოვაწყობდით მცირე საწარმოებს. დავამზადებდით სოხისს, მწნილეულს თუ სხვადასხვა პროდუქციას.

ანეგდოტი არაა? ნახევარი საათის წინ საბურთალოს ბაზრის დირექტორმა დამირეკა, მთხოვა მესწავლებინა ბაზრისთვის ცოცხები როგორ შეეძინა.

ამის გამო, რომ ჩვენს ხარჯებს სხვები განაგებენ, ბაზარში რემონტი ვერ გაგვიკეთებია.

— ბატონო ლაერტ, დღეს ბაზარში ათასგვარი დანაშაული ხდება. რა ღონისძიებებს ატარებს ადმინისტრაცია მის აღსაკვეთად?

— დანაშაულებებით დღეს საქართველოში ვის გააკვირვებ. იგივე, ცხადია, ხდება ჩვენთანაც — ბაზარში. სამწუხაროდ, ჩვენს მიერ გატარებული ღონისძიებები საერთო დანაშაულობების ფონზე არაეფექტური აღმოჩნდა, თუმცა დიდი იმედებით დავიქირავეთ თავდაცვის სამინისტროს პოლიციელები. არ გაამართლეს — ეს ნაცნობია, ეს ჩვენზე უკეთ შეიარაღებული, ვერ დავაპატიმრებთო... მოკლედ, არ გაამართლა. ახლა წესრიგის დაცვა არასაუწყებო სამსახურს ამარია, მაგრამ მათ იარაღი არა აქვთ, უიმისოდ კი დამნაშაულებთან ბრძოლას რა ეფექტი ექნება. აგერ გუშინწინ, დამით ბაზრის ტერიტორიაზე ფორმიან-ავტომატიანი ახალგაზრდები შემოვიდნენ, ერთი ტომარა ლობიო და ორი ტომარა ხახვი წაიღეს. ჩვენმა დაცვამ ხმაც ვერ ამოიღო.

— ბატონო ლაერტ, გეთანხმებით, ჩვენში გამეფებულ ძალმომრეობას იოლად ვერავინ ალაგმავს, მაგრამ სპეკულაციასთან ბრძოლა, ალბათ, მაინც შეიძლება?

— იცით რა, ადრე გლეხს კანონის თანახმად უნდა წარმოედგინა ცნობა, რომ პროდუქცია ნამდვილად მისი იყო. დღეს ამ კანონს მტვერი აქვს წაყრილი. მე არავითარი უფლება არა მაქვს, ვინმეს გზა გადავუკეტო. ამას გარდა, სპეკულანტებთან ბრძოლა ჩვენს ტერიტორიაზე განლაგებული სპეციალური სამსახურის საქმეა, ისინი კი ბაზრის დირექციას არ ემორჩილებიან.

— იმაზე რაღას იტყვით, რომ ბაზრის ტერიტორიაზე მამასახლისად იყიდება ძაღლისა და ... ?

— ეს უმეტესად მალულად ხდება. მათ ჩვენ, ცხადია, ჩეკებს არ ვაძლევთ. სამწუხაროდ, პურის გამყიდველებს შორის ბევრი ლტოლვილი და ავადმყოფია, რომელთა ერთადერთი საარსებო წყარო პურის სპეკულაციაა.

სულ ახლახანს სწორედ ამ საკითხით აღშფოთებულმა ქალებმა მომაკითხეს; ერთ-ერთი სპეკულანტი დავეჭირეთ. დაჭერილმა ტირილი დაიწყო — ბავშვისთვის წამალი ვერ შემძიენია და ღორის ხორცს არ გვანებებს პატრონი და თქვენთან შეხვედრას გვთხოვსო.

— გუშინწინაც ჩამოართვეს დაავადებული ღორის ხორცი ლაბორატორიის თანამშრომლებმა, — მითხრა ბატონმა ლაერტმა, ყურძილი რომ დაკიდა.

— დაავადებულ ხორცს რა ბედი ეწვა ხოლმე?

— ქლორს აყრიან და გლდანის სანაგვეზე მარხავენ.

კაბინეტში ახალგაზრდა კაცი შემოვიდა. — ღორზე რომ დაგირეკეს ისა კარო.

— კარგად გამიგეთ. აფხაზეთში ვიბრძოდი. დავიჭერი. ნათესავებმა ექვსი ღორი მომცეს, გაყიდე და რაც დაგრჩება, იმით წამალი შეიძინეო. ეს ღორის ხორცი იმიტომ მჭირდება, რომ ნათესავს ვაჩვენო თქვენს მიერ გაცემული საბუთით, მარტო შეიძლება არ დამიჯერონ. თუ ჩემი არ გჯერათ, თანამშრომელი გამომაყოლეთ.

ერთი ფუთი მარილი არ იყო საჭირო იმის გასაგებად, რომ ეს ახალგაზრდა გულწრფელად ლაპარაკობდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ნდობა, კანონის უხეში დარღვევა იქნებოდა. ახალგაზრდაც დამორჩილდა.

ამავე, შიდა ტელეფონის საშუალებით გავიგე, რომ ბაზარში შექმნილია ლტოლვილთა და დაჭრილთა დახმარების საინიციატივო ჯგუფი. ჩემი აქ მოსვლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ესეც იყო და ამიტომ, ცხადია, დიდი ინტერესი გამოვიჩინე. ბატონმა ლაერტმა გამიყვანა მოპირდაპირე ოთახში და მანვინა იმ დღეს ბაზარში შეგროვილი პროდუქტები: კარტოფილი, ლობიო, კომბოსტო და სხვა. თვითონ დირექტორს ოჯახიდან ნახევარი ტომარა ნახმარი ფეხსაცმელი მოეტანა.

— რა დასამალია, ბევრი გამყიდველი ჩუნს აქციას ეჭვით უყურებს. თავისთვის უნდათო. კაცი რომ ჰუმანიტარულ დახმარებაზე ხელს მოიბობს, გარეწარია. ტელევიზიას ვთხოვე და ხვალ მათთან ერთად ჩამოვიღები დახლებს. ვფიქრობ, ეს უფრო ეფექტური იქნება. ტელეკრანზე მოსალოდნელი გამოჩენა ბევრს უბიძგებს ქველმოქმედებისკენ. ისე, კაცმა რომ თქვას, ბაზარში 1500 კაცი დგას, ყველამ ნახევარ-ნახევარი კილოგრამი ხორცი თუ სხვა პროდუქტები რომ გაიღოს, არავინ გაღარიბდება.

ჩვენი საუბრის დასასრულს კაბინეტში ბაზრის კონტროლიორები შემოვიდნენ. ისინი, ვისაც შემოწირულობების აკრეფა ჰქონდა დავალებული.

— უმეტესობა გვეუბნება, პროდუქტს ჩვენ თვითონ ამოვიტანთო, ზოგმა კი ფული მოგვცა, — ამბობს ერთი.

— ერთმა მითხრა, ზვიადი და ქობალია დაეხმარონო, — აღშფოთებას ვერ მალავს სხვა.

— მე კინაღამ ყელში მწვდნენ — ზვიადს რატომ არ უგროვებთო, — იცინის მესამე კონტროლიორი...

ქველმოქმედება ბაზრის ადმინისტრაციას ადრე დაუწყია. შარშან მიწისძვრით დაზარალებულ მიხეილ აბაშიძის ოჯახს მარნეულში სახლი შეძინეს, საკმაოდ გვარიანი თანხა გადარიცხეს დანგრეული რუსთაველის აღსადგენად. ორჯერ გაგზავნეს პროდუქტით დატვირთული მანქანები აფხაზეთში. ამჟამად ლტოლვილებისა და დაჭრილებისათვის ათი მილიონი კუპონია შეგროვილი, თუმცა ჯერ არ გადაურიცხავთ...

ჯემალ კასრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაგედია, რომლის აცილება შეიძლებოდა



დღეს, შავებაცმულ საქართველოში ტრაგედიით ეს გააკირვებ, მაგრამ შემთხვევა, რომელიც 16 ნოემბერს დღისით, მზისით ფანასკერტელის (ახტრიონზე) ნომერ ოც საცხოვრებელ სახლში მოხდა, გარკვეულწილად გაუგონარია. გაუგონარია იმ მხრივ, რომ პოლიციელთა თანდასწრებით მეხუთე სართულის საკუთარი აივნიდან გადმოხტა მაყვალა პაპოშვილი და არც კი განძრეულა, ისე დალია სული.

სანამ გამოძიება თავის სიტყვას იტყვის, ჩვენ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, რომ ის მიზეზები გაგაცნოთ, რომლის სისასტიკემ და არაადამიანურმა ალოგიკურობამ გამოიწვია ეს ტრაგედია.

1990 წელს აღნიშნული ბინა, რომელიც ჯერ კიდევ მშენებარე იყო, თვითნებურად დაიკავეს მოქალაქეებმა: ეგრეთწოდებული „მალალი აღრიცხვის“ (25—27 წლის სტაჟი), მინისტრთა კაბინეტის თანამშრომლებმა, ერეკლეს მოედანზე სახლდაწვარმა და წილობრივი წესით რიგში მდგომებმა. (მათ შორის იყო მაყვალა პაპოშვილი, რომელსაც მაუდ-კამვოლის კომბინატში მუშაობის 30 და ბინის რიგში დგომის 27 წლის სტაჟი ჰქონდა).

თავისთავად ეს ფაქტი, მიუხედავად იმისა, რომ უდიდეს უმრავლესობას კანონით ეკუთვნოდა ბინა, ძალმომრეობის პრეცედენტს ქმნიდა, რაც, ცხადია, დაუშვებელი იყო და აღიძრა კიდეც საქმე. თავის მხრივ არც შესახლებულნი იყვნენ გულხელდაკრეფილნი. მათ წარმოადგინეს საბუთები, რომ სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოები მათ კანონიერ უფლებებს გულგრილად ეკიდებოდნენ. მობინადრეებმა მალალ ინსტანციებში საერთო ჯამში ოთხასამდე დეპეშა და წერილი გააგზავნეს. საქმეში ჩაერია საპარლამენტო კომისია...

და აი, 15 ნოემბერს საბურთალოს რაიონის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელმა მობინადრეებს გამოუცხადა — ბინები დაცალეთო, მაგრამ ამის შესახებ სჯობია, ერთ-ერთ მათგანს, ქალბატონ ნათელა მუმლაძეს მოვუსმინოთ.

— დღეს შუადღისას სამსამდე პოლიციელი მოვიდა. მათ სადარბაზოები დაიკავეს და დაიწყეს ავეჯის გარეთ გამოყრა. სადაც კარი არ გაუღეს იქ ელექტროშემდუღებლები აამოქმედეს. ძალადობას ბოლო არ უჩანდა. წარმოსადგენადაც კი ძნელია რა ხდებოდა. უმეტესობას მცირეწლოვანი შვილები ჰყავს. ამ სიცივესა და ყინვაში სად უნდა წასულიყვნენ.

ჩვენ რომ შემოვსახლდით ცარიელი კედლები იყო. საკუთარი დანახოგით და ჯაფით შეკეთილით კარ-ფანჯრის ჩასმა, იატაკიც ჩვენ დავაგეთ. მიუხედავად ამისა, თანახმა ვიყავით დაგვეთმო ეს ყველაფერი, შეჩვეული ადგილი და ნებისმიერ ადგილზე გადავსულიყავით, თუკი ბინებს მოგვცემდნენ. ბინა მხოლოდ თოთხმეტ მობინადრეს შესთავაზეს და ისიც მშენებარე.

აქ ძირითადად ღარიბი, ხელმოკლე ხალხი ვცხოვრობთ, თორემ ფული რომ გვქონოდა ეს პრობლემები არ იარსებებდა.

ასეთივე იყო მაყვალა პაპოშვილი, კეთილსინდისიერი ადამიანი, ყველას გაჭირვების ტალკვესი. მას ერთხელ უთქვამს: თავს შევწირავ ამ საქმეს და იქნებ ამით თქვენ მაინც გეშველოთო.

— მას რომ არ დაესწრო, მეც იგივეს გავაკეთებდი, — ჩაერია ერთი ქალბატონი, —

დასასრული მე 8 გვ.

მ ი ჯ ნ ა

(ზოგადი შენიშვნები)

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, საყოველთაო არეულობისა და კრიზისების პირობებში, ასე რომ იყო მოცული რუსეთი, საქართველომ მოკლე დროით, 1918—1921 წლებში მაინც შეძლო დამოუკიდებლობის მოპოვება. მაგრამ რამდენადაც არასაიმედო იდეოლოგიით იყო შემზადებული და მოპოვებული ეს თავისუფლება, იმდენად უდღეური აღმოჩნდა იგი. ძალიან მალე ბოლშევიკური რუსეთის არც თუ მთლად შეფარული ინიციატივითა და ქართველ ბოლშევიკთა აქტიურობით ეს დამოუკიდებლობა დაკარგულ იქნა. მაშინ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვა იმდენად რუსეთის აგრესიის შედეგი არ ყოფილა, რამდენადაც ამ დამოუკიდებლობისათვის ჩვენი სულიერი შემზადების არასაკმარისობა...

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მორიგი აქტიური ცდა 70-იანი წლებიდან იწყება, რაც 1990 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს უზენაესი საბჭოს მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებით, 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებითა და საბოლოოდ... ახალ პოსტკომუნისტურ გაერთიანებაში სწგ-ში დაბრუნების დიდი სურვილითა და ფაქტობრივი გაწევრიანებით დამთავრდა.

თუკი გონების თვალით გადავხედავთ იმ წინაპირობებს, რასაც მრავალპარტიული არჩევნები და შემდგომ დამოუკიდებლობის დეკლარაცია მოყვა. ეს უფრო იმპერიის ირღვევის შედეგი იყო, ვიდრე ეროვნულგამათავისუფლებელი მოძრაობის გეგმაზომიერი მოღვაწეობის გამარჯვება (ამით ფულაც არ მცირდება ქართული ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა ღვაწლი და ბრძოლა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში). დღეს განა შეიძლება იმის დაჯერება, რომ 70-წლიანი კომუნისტური იდეოლოგიისა და წყობილების წნეხის პირობებში, როცა იმპერიაში შემავალ ხალხებში განსაკუთრებით აყვავდა მანჭურთიზმი, როცა ეროვნულ საკითხებზე სერიოზული ფიქრი მკრეხელობად ითვლებოდა, როცა ყველაფერი მარქსიზმ-ლენინიზმის ციტატებით იზომებოდა, შეიძლებოდა ისეთი პირობების შემზადება, რაც საბოლოო თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას მოგვიტანდა? განა შემხთვევითია ის ფაქტი, რომ ერთი-ორი კვირის განმავლობაში, არა უბრალო ადამიანებში, არამედ უმაღლეს ხელისუფლებაში და ინტელიგენციის ერთ ნაწილში დიამეტრალურად იცვლება დამოკიდებულება სნგ-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით განა შემთხვევითია ის ფაქტი, რომ დღეს ახალდაწინაურებულების ბიოგრაფიაში სულ უფრო და უფრო დომინირებს მათი კომკავშირული და კომუნისტური წარსული? ამაში არაფერია უცნაური, სხვანაირად რომ ყოფილიყო, უფრო ეს იქნებოდა გასაკვირი!

ის რაც ჩვენში ხდება, მისი საფუძვლები არაუგვიანეს 30-იან წლებშია შემზადებული. ამიტომაც ჩვენ რეალურადაც რომ მივაღწიოთ დამოუკიდებლობას,უკეთეს შემთხვევაში ეს იქნებოდა ალბანეთის მსგავსი იზოლირებული ქვეყანა (ამის ტენდენციები კი ნამდვილად იყო ჩვენში), რადგანაც სადღეისოდ ჩვენ შინაგანად არა ვართ მზად თავისუფლებისათვის. აქვე ვიტყვი, რომ ჩვენი თაობა ხვალინდელ აუცილებელ გასაკეთებელთან უნდა ამზადებდეს რეალურ საფუძველს 50—100 წლის შემდეგდროინდელი საქართველოსათვის.

თუ რას ვაკეთებთ და როგორ ვიქცევით კრიტიკულ ჟამს, ამაზე კარგ პასუხს იძლევა ომი აფხაზეთში. ეს ომი გარეშე ძალას იმდენად არ მოუგია, რამდენადაც ჩვენ წავაგეთ. მოდით ვიკითხოთ რა გააკეთა თვითოეულმა ჩვენთაგანმა ამ ომის მოგებისათვის. ყველაზე იოლი, რაც შეიძლებოდა ჩვეულებრივ ქართველს გაეკეთებინა ომისათვის იყო სისხლის გაღება, რაც ყველას არც გაგვიკეთებია. ყველა ჯარისკაცმა სრულყოფილად არ იბრძოლა. ვინაიდან არმია არა გვყავს, ფულის პატრონმა ფული არ გაიღო, ვინაიდან ნამდვილი კლასი ბიზნესმენებისა არა გვყავს და მრავალი სხვა ამისთანა. მოკლედ ომი აფხაზეთში მთლიანობაში ქართველ კაცს არ გაუთავისებია. განა ამაზე არ მეტყველებს არაერთგზის მწარედ შენიშნული: თბილისის აეროპორტიდან ქართველთა ერთი ნაწილი ზოგჯერ უიარაღოდაც აფხაზეთის ომში მიდიოდა პირდაპირ, მეორე ნაწილი გატენილი ჩემოდნებით დუბაიში. ყველაფერი ამის ფონზე რაოდენ ზნეშაღალად გამოიყურებიან ის ქართველები თუ საქართველოს მოქალაქეები, ვინც დაუფიქრებლად მიიტანა თავისი სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე.

მაშ სადაა გამოსავალი, იკითხავს მკითხველი. ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ჩვენი მეზობელი თურქეთის მაგალითი. ხშირად შენიშნავენ, რომ თურქეთის მამად წოდებულმა — მუსტაფა ქემალმა (ათათურქმა) თავისი დიდი საქმე იმით დაიწყო, რომ მამაკაცებს ფესკები მოხადა თავიდან, ხოლო ქალებს ჩადრი, რითაც ცივილიზებული სამყაროსაკენ „გაჭრა სარკმელი“. ამასთან თურქებს მოუხსნა იმპერიული სინდრომი. სწორედ მაშინ ჩაიყარა დღევანდელი ცივილიზებული თურქეთის საძირკვლები. მსგავსი რამ გვჭირდება ჩვენც. როცა ვხედავთ, რომ საბაჟოებიდან იძარცვება ჩვენი ქვეყანა და არა მხოლოდ მატერიალურად, მაშინ გადამწყვეტად უნდა ითქვას უარი მის მიერ მოტანილ ნებისმიერ სარგებელზე. ეს ხომ მაინც დროებითი „სიკეთეა“. მხოლოდ ამ გზით გადარჩება ისედაც გაჩეხილ-განადგურებული საქართველოს ტყეები, ტროლეიბუსის სპილენძის ელექტროსადენები, ტრანსფორმატორები, სატელეფონო კაბელები და ქართველი კაცის ზნეობრივი სახე. სხვა გზა ამ კუთხით ზნეობრივი გადაგვარებისაგან გადასარჩენად არ არსებობს.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველო თუ მარადიულად არა, დღევანდელი პოლიტიკური ატმოსფეროს გათვალისწინებით, ათეული წლების (მეტი თუ არა!) განმავლობაში სწორედ ისეთ გარემოცვაში იქნება, რომელსაც ჩვეულებრივ, პოლიტიკის ენაზე საშიშს უწოდებენ. ამიტომაც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ფიქრს თან უნდა სდევდეს ასევე ფიქრი და ბრძოლა ჩვენი ცნობიერების გარდაქმნაზე. თუკი ჩვენს ცნობიერებაში არ მოხდა რადიკალური გარდატეხა, მაშინ ყოველგვარი ფიქრი თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე ფუჭი ოცნების სფეროს ვერ გასცდება. აქ უდავოდ გამოგვადგება ებრაელი ხალხის მაგალითი. მათ მობილურობაზე, მიზანდასახულობასა და თავგანწირვაზე ერნესტ რენანის თვალსაზრისი შემთხვევით არ დაგვირთავს ეპიგრამად წერილისათვის. ეს აზრი რენანმა 1861 წელს გამოთქვა და რას იტყოდა დღევანდელი ისრაელი რომ წარმოედგინა? მხოლოდ ასეთი შემართებითა, მიზანდასახულობითა და თავგანწირვით შეიძლება სრულყოფილი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მიღწევა.

წერილს არა აქვს დიდი პრეტენზიები, ამიტომაც დაერთო სათაურს — „ზოგადი შენიშვნები“. თუმცა წერილში დაყენებული საკითხებზე რომ ჩაფიქრება გვმართებს ეს სადავო არ უნდა იყოს. ამასთან წერილი იწერებოდა იმის ღრმა რწმენითა და შეგნებით, რომ დღეს საქართველო სწორედ იმ მიჯნასთანაა თუკი სათანადო დასკვნები არ გაკეთდა და არ მოხდა რადიკალური გარდატეხა ჩვენს ცნობიერებაში, მაშინ ჩვენი კატასტროფის გაფორმება, მხოლოდ დროის ამბავი იქნება.

მიხეილ მახარაძე

დასასრული

ღმერთი აღარაა, ჩემი სამი შვილით და ავეჯით ვის უნდა მივადგე კარზე?

— მაყვალას დალუპვის შემდეგ ტელევიზია რომ მოვიდა, ყველა პოლიციელი შეუშინებლად გაიპარა.

— ჯალაღანიების კარებს „სვარკით“ რომ სჭრიდნენ კინაღამ გაუგიჟდათ მცირეწლოვანი ბავშვები.

ორი შვილის დედამ გიული მჭედლიძემ მითხრა:

— პოლიციელმა რევოლვერი მომადო — ეხლავე ტვინს გაგასხმევინებ, თუ საშუალებას არ მომცემ ავეჯი გარეთ გავიტანოო.

ლომთაძეების ბინას ვათვალიერებ (ავეჯის ნაწილი სადარბაზოში ყრია). ყველაფერი არეულ-დარეულია. ერთ-ერთ ოთახში ათი დღის დავით ლომთაძეს სძინავს.

— იცით ყველაზე მეტად რამ შემაძრწუნა — მეუბნება ოჯახის დიასახლისი ქალბატონი დენიზა, — ჩვენს ოჯახში ნათესავები, სოხუმიდან ლტოლვილი ბენიძეების ოჯახი ცხოვრობს. მათ შვილს, ხუთი წლის დათოს, პოლიციელები რომ შემოვარდნენ აფხაზი ექსტრემისტები ეგონა და კანკალით მკითხა — ჩვენები არიან? ხომ არ გვესვრიანო?

ისევ ქვემოთ, ეზოში ჩამოვდივარ, იქ სადაც თეთრზეწარგადაფარებული მაყვალა პაპოშვილი ასვენია. ახლა იქ ვისმენ მეზობლების მოთქმას

—მიქელაძეების ხუთსულიანი ოჯახიდან ავეჯი გამოიტანეს და სადღაც წაიღეს, — აღშფოთებული ამბობს ერთ-ერთი.

— ზვიადისტები ხართ და იმიტომ გასახლებთო.

— რა შუაშია ზვიადისტობა, სწორედ მის დროს გამოიტანეს პირველი დადგენილება ჩვენი გამოსახლების შესახებ.

მოგვიანებით სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებიც მოვიდნენ, გვამის პროზექტურაში გადატანა და გაკვეთა მოინდომეს.

მეზობლები ამ განცხადებას უარყოფითად შეხვდნენ — სანამ ნათესავები არ მოვლენ არ დაგანებებთო. უფრო კი იმან დაიჭვათ, რომ არავითარი საშუშაო არ ჩაუტარებიათ. შემთხვევის ადგილზე არ გადაიღეს სურათები, არ გაზომეს დაცემის ადგილი.

დამხვდურთა აზრით სამართალდამცავ ორგანოების წარმომადგენლებს უნდოდათ ძალადობის იმ კვალის წაშლა, რომელიც შეიძლებოდა ჰქონოდა მაყვალა პაპოშვილის გვამს.

ამასობაში სინათლე გამოირთო. დავა ავტომანქანის ფარების შუქზე გაგრძელდა.

ერთი გამომძიებელი ამტკიცებდა, დათვალიერების აქტი უკვე შეეადგინე და ამ მხრივ ყველა აუცილებელი კანონი დაცულიაო. რადგან ამის მოწმე არავინ აღმოჩნდა, დაიწერა ახალი აქტი და რამოდენიმე მოწმემ ხელი მოაწერა.

ყოველივე ამაზე იქნებ არც გამემახვილებინა ყურადღება, რომ არა ის არცთუ უსაფუძვლო ეჭვები, რაც მოსახლეობამ გამოსთქვა. ამასთან აქტს, რომელიც ჩვენი თანდასწრებით შეადგინეს დამსწრე-მოწმეთა ხელისმოწერები დასჭირდა, რასაც ვერ ვიტყვით „პირველზე“.

დასკვნის სახით კი ვიტყვით, რომ მობინადრეთა გამოსახლების ეს აქცია, თუნდაც მას ტრაგედია არ მოჰყოლოდა, სცილდება ადამიანური გაგების აღიარებულ ჩარჩოებს. დღეს, როდესაც მოსახლეობას სული კბილით უჭირავს, შიშილობს, ლტოლვილებითაა მოფენილი მთელი საქართველო, როდესაც ქურდობა-ყაჩაღობა აღზევდა და ადამიანს გარეთ გასვლის ეშინია, ამგვარად წესრიგის დამყარების დაწყება, ცოტა არ იყოს აღმაშფოთებელია, თუმცა აქ იმათ ინტერესებსაც ვითვალისწინებთ, ვისაც კანონით ეკუთვნოდა სადაო ბინაში ცხოვრება.

გამოსახლების ბრძანების გამცემმა ათჯერ მეტი ცოდვა ჩაიდინა, ვიდრე უბინაობით გაწამებულმა ამ მობინადრეებმა, რომელთა უმეტესობას მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავს და თავშესაფარი არა აქვთ.

ვიმეორებთ, ჩვენ არ ვიწონებთ ბინებში ძალით შესულთა მაშინდელ მოქმედებას. ეს თავის დროზე უნდა აღკვეთილიყო, ლეგიკურიც იქნებოდა და არც ასეთი გართულებული მდგომარეობა შეიქმნებოდა. სამწუხაროდ, კომუნისტური მთავრობის მაშინდელ თვალის დახუჭვას, დღევანდელმა, ეროვნულმა მთავრობამ ცეცხლზე ნავთის დასხმით უპასუხა.

ერთმა მეზობელმა მაყვალა პაპოშვილის მოქმედებას გმირობა უწოდა — ჩვენი გულისთვის გასწირა თავიო.

ჩვენ, ამ შემთხვევაში, თავს ვიკავებთ შეფასებისგან, მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი განსაკუთრებული სიფაქიზით და ყურადღებით გამოირჩეოდა, უხვად ჰქონდა მომადლებული მოყვასისთვის თავგანწირვის უნარი.

ამ სიტყვებს იმიტომ კი არ ეწერი, რომ როგორც ძველი ლათინები ამბობდნენ: „მიცვალებულზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერსო“. მაყვალა პაპოშვილმა ყველა ჩვენგანს დაგვწყვიტა გული. იგივე გრძნობა დავინახე მის მეზობლებლებშიც, თავისი ტრაგიკული გადაწყვეტილებით გასახლების ელდა რომ დაავიწყა. ალბათ ამიტომაც შეადარეს მისი საშინელი გადაწყვეტილება გმირობას.

ჯემალ კასრაძე

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია საძიმარს უცხადებს გაზეთის კორესპონდენტს მერაბ მაისურაძეს ბიძის გარდაცვალების გამო.

არაჩვეულებრივი რეკლამა არაჩვეულებრივ სიგარეტზე

კარგი რამ იყო სიგარეტი „ბრუკლინი“. ერთხელ მაჩუქეს ერთი კოლოფი და მას შემდეგ ამაოდ დავეძებ ჯიხურებში, როგორც უდაბნოში მწყურვალი წყალს.

ამიტომ გადავწყვიტე გაზეთის მეშვეობით მიმემართა მისი მეპატრონისათვის.

„რიტორიკაში წერია, ყველაფერი შესავლით უნდა დაიწყოს კაცმაო. ჭეშმარიტია. ჩვენც ასე უნდა დავიწყოთ.“

ვინც ქანგბადივით ყოველწუთს ყლაპავს სიგარეტის ბოლს, მაგრამ კარგისა და ცუდის გარჩევა არ იცის, ის, რასაკვირველია, ლაფის სროლას დამიწყებს და „გიჟიას“ დაუძახებს ამ რეკლამის უხეირო დამწერსა.

ეს კარგად იცოდნენ. ჩვენ მათთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ გემოვნებიანი მწეველების გასაგონად ვწერთ.

სხვამ რაც უნდა ისა თქვას, მე კი ამ სიტყვების სიმართლით გავიმხნევებ თავსა: სჯობია „ბრუკლინი“ მოსწიო და ძვირი გადაიხადო, ვიდრე საწამლავში გროშები.

მაგრამ სადა ხარ, ამ სიგარეტის შემომტანო? ვიცი, სადაცა ხარ: ხალხში ხარ, მადლიანო, და ხალხისა ხარ.

მაცნობეთ თქვენი ტელოფონი. „ბრუკლინში“ ვიხდი ნებისმიერ თანხას...

თქვენი ნ. ლუდაძე

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
თენგიზ გოგოტიშვილი
ვახტანგ კომახიძე
ჯემალ კასრაძე
მერაბ მაისურაძე
რიმა ლომაური
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
ტელ:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის
ინდექსი 66447

ფასი
600 კუპონი